სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 15 (4519) • 25 ნოემბერი • 2015 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ნომრის სტუმარია თბილისის 37-ე საჯარო სკოლა

მეგობრულად სწავლობენ და იზრდებიან

ქალაქის უძველეს უბანში მდებარე ცოდნის ტაძარს ტრადიციულად „მეგობრობის სკოლას“ ეძახიან, რადგანაც ერთმანეთის მხარდამხარ სწავლობენ და მეგობრულადიზრდებიან: **ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, ქურთი** და სხვა ეროვნების ბავშვები. წელს აქ ახალი დირექტორი მოვიდა, მდიდარი გამოცდილების, ერუდირებული, ინიციატივიანი, მათემატიკის მასწავლებელი **ლარისა**

მელაძე. მოვიდა და ენერგიულად შეუდგა მოღვაწეობას. ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, ამ სკოლის დელეგაცია ერევნის ერთ-ერთ მეგობრულ სკოლას სტუმრობს დირექტორის მეთაურობით, რადგანაც გამოცდილების გაზიარების მიზნით სომხეთის სკოლასთან თანამშრომლობენ.

მომდევნო ნომერში შევეცდებით **ერევნული** შთაბეჭდილებები ვრცლად მივაწოდოთ მკითხველს.

ახლა კი ერევანში გამგზავრებამდე სკოლის დირექტორთან საუბრის მოკლე შინაარსს გთავაზობთ:

* * *

ახალი სასწავლო წელი ჩვეული შემართებით დავიწყეთ. ზაფხულის არდადეგების პერიოდში შევძელით გაგვეახლებინა სკოლის ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი. კეთილმოეწყო საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, ფოიე.

კორესპონდენტის ჩანართი: ქ. თბილისის 37-ე საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს ქალბატონი **ლარისა მელაძე**, პროფესიით მათემატიკოსი, სერტიფიცირებული, მდიდარი გამოცდილების მქონე, სანდომიანი, ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული პედაგოგი.

დირექტორი: აქტიურად მიდგას მხარში უაღრესად გამოცდილი მოადგილე **ქეთევან ტურიაშვილი**, პროფესიით გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაციაში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილებით, ენერგიული და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ქალბატონი.

სკოლაში დოკუმენტაციის წარმოებას უზრუნველყოფს საქმეთა მმართველი **იამზე კაკიაშვილი**. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას კი ღირსეულად განაგებს **ვალერ ქობულაძე**. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა რუსული ენის პედაგოგი, **მარინა ავაქოვა**.

2015-16 სასწავლო წლის დასაწყისში აქტიურად ჩატარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები. თვითმმართველობის თავმჯდომარედ დასახელდა მე-10ბ კლასის მოსწავლე **იმედა მსხილაძე**.

მოსწავლეთა ინიციატივით სკოლაში შეიქმნა სასკოლო კლუბები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.

გვყავს სერთიფიცირებული 9 მასწავლებელი. ყველა პედაგოგი გამოირჩევა საგნის ღრმა ცოდნით, ენერგიულობით, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობით.

სკოლაში დღესაც შემართებით მუშაობენ ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებმაც წლების მანძილზე თავიანთი მხრებით მოიტანეს სკოლის წარმატებები. ღვაწლმოსილი პედაგოგებიდან უნდა აღვნიშნოთ: **ნინო გარსევანიძე**, **ლელი დოლიძე**, **ელენე სივცოვა**, **ლიუდმილა პილსკაია**, **გულნარა ვართანოვა**, **მარინე ქიქოძე**, **ლარისა ერმოლოვა**, **ივეტა არუთინოვა**, **ლამარა ვარდოშვილი**, **მერი ტანასოვა**, **ადელაიდა ნიკოლაიშვილი**, **ირინა ალავერდოვა**, **ირინა ხარლამპოვა**, **სვეტლანა ამანათაშვილი**, **ედუარდ ჩოფიკიანი**, **ლიუდმილა ფროლოვა**, **ირაკლი ბოსტაშვილი**, რომელთაც დიდი დამსახურება აქვთ.

უნდა შევაქოთ ახალგაზრდა პედაგოგები: **ქეთევან რამიშვილი**, **ელენე კოხრეიძე**, **ანა სუკიასიანი**, **სვეტლანა პანი**.

საგნობრივი კათედრების კარგი მუშაობის შედეგია მოსწავლეთა ცოდნის მაღალი დონე. სახელმწიფო ენის კათედრას ხელმძღვანელობს – **ია სეხნიაშვილი**, რუსული ენისას – **რუსუდან ჩიხლაძე**, უცხო ენებისას – **მარიანა თათარაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისას – **ქეთევან რამიშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისას – **ადელაიდა ნიკოლაიშვილი**, მათემატიკის კათედრას – **ქრისტინე ისლამიდი**, სპორტისა და ესთეტიკისას – **ანა სუკიასიანი**.

100%-იანი გრანტით უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხნენ: **თამარ თუთისანი**, **თინათინ ოვსეპიანი**. 70%-იანი გრანტით კი – **მეგი არუთინოვი**.

სკოლაში სწავლების მაღალი ხარისხი მიიღწევა სასწავლო პროცესის სრულყოფით და მოსწავლეთა ჩართულობით შემოქმედებით ღონისძიებებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და სხვადასხვა სახის კონკურსში: **„კინგსი“**, **„კენგურუ“**, **„ევერესტი“ და „ფლექსი“**. ჩვენი სკოლის მოსწავლეთა წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით მათ პედაგოგებს, მათემატიკის მასწავლებლებს – **მარინე ქიქოძეს**, **ქრისტინა ისლამიდის**; ქართული ენის მასწავლებლებს – **ნინო გარსევანიძეს**, **ია სეხნიაშვილს**, **გულნარა თუხარელს**, **თამარ ჩხაიძეს**; ინგლისური ენის მასწავლებლებს – **მარიანა თა-**

თარაშვილს, **მარინა კალანდაძს**, **რუსუდან გვარამაძეს**, **სედა აგასანდიანს**; დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს – **ნინო სარქისიანს**, **რუზანა მარუტიანს**, **ნინა პეტროსიანს**, **ნინო სოზიაშვილს**, **მარინა არჩუაძეს**, **სოფო ჩხიტაძეს**, **მარიამ ბზიშვილს**.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას. სპეციალისტი-მასწავლებელია – **მაია რურუა**, რომელიც ბევრს მუშაობს მოსწავლეებთან

აქტიურად მუშაობენ სასკოლო კლუბები: სამოქალაქო კლუბი **„თემიდა“**, ხელმძღვანელი – **ელენე კოხრეიძე**; ლიტერატურული კლუბი, ხელმძღვანელი – **თამარ ჩხაიძე** და **რუსუდან ჩიხლაძე**; შემოქმედებითი კლუბი, ხელმძღვანელი – **მარინა ტომასოვა**; სპორტული კლუბი, ხელმძღვანელი – **ლიუდმილა ფროლოვა**.

დღევანდელი სასწავლო პროცესი წარმოუდგენელია საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე. 37-ე საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი კომპიუტერული ბაზა, ხელმძღვანელი – **ანა დარასელია**.

სკოლის ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართული მანდატურები: **ელისო მუკბანიანი** და **თამილა ბექაური,** რომლებიც იცავენ მოზარდთა უსაფრთხოებას, განამტკიცებენ შეგნებულ დისციპლინას.

ოქტომბრის თვეში სკოლაში განხორციელდა მეტად საინტერესო პროექტი **„პატრიოტული სკოლები – თბილისი-ერევანი“**. აღნიშნული პროექტი მოიცავს გაცვლით პროგრამებს. ჩვენი სკოლა ერთი კვირით სტუმრობს ერევნის სკოლას.

ასე რომ, ორიენტირებული ვართ სწავლების ხარისხის ამაღლებაზე და შესაბამისად მაღალ შედეგებზე.

ესაუბრა ბორის მიშველაძე

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

გარდაბნის პირველი საჯარო - 30

წარმატებული სკოლა – მრავალეთნიკური კონტინგენტით

ამა წლის 5 ნოემბერს, შემოდგომის ერთ-ერთ ულამაზეს დღეს, გარდაბნის პირველი საჯარო სკოლის 30-ე წლისთავის ზეიმი მთელი რაიონის დღესასწაულად იქცა. რუსთაველი ცნობილი მხატვრის **ალექსანდრე თოდუას** მიერ შესრულებული ორიგინალური წარწერა „30“ – სცენას რომ აცოცხლებდა და ალამაზებდა, სტუმრისა და მასპინძლისათვის მხოლოდ სიმბოლოდ მოიაზრებოდა; თორემ აქ, ყველამ, ძირძველმა მოსახლემ თუ ახალგაზრდამ, კარგად იცის, რომ ქართული სკოლა საუკუნეზე მეტი ხნისაა და, რომ თუ აზერბაიჯანულ სკოლათა ისტორიას ამ მიწა-წყალზე 150 წლით ითვლიან, ქართული სკოლა კიდევ უფრო დიდი ხნისაა. აქ, ძირძველ ქართულ მიწაზე, ჯერ ქართველებმა დაიდეს ბინა, ხოლო მოგვიანებით, არამხოლოდ აზერბაიჯანელებმა, არამედ ქურთებმა, სომხებმა, ბერძნებმა, ეთნიკურად ამ ჭრელ რაიონში ქართული სკოლაც მრავალეროვანია, შესაბამისად, ზეიმშიც ყველა ეროვნების პედაგოგი და მოსწავლე მონაწილეობდა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ უკანასკნელ წლებში აშკარად მოიმატა არაქართველი ეროვნების მოსწავლეთა რაოდენობამ პირველ საჯარო ქართულ სკოლაში, რის შესახებაც ხმამაღლა ითქვა სცენიდან და რაც, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორითაა გამოწვეული: ქართული სახელმწიფო ენის სრულყოფილად შესწავლისა და დაუფლების სურვილით განსაკუთრებით დაინტერესდნენ არაქართული ოჯახები, მათ თავიანთი პატარები ქართულ სკოლაში მიჰყავთ პირველი კლასიდანვე. მიმდინარე სასწავლო წელს, მაგალითად, პირველ საჯარო ქართულ სკოლაში ოთხი პირველი კლასი გაიხსნა, მოსწავლეთა კონტინგენტი – ეთნიკურად ჭრელია, 30% არაქართული ეროვნების ბავშვია.

ღონისძიება კულტურის საქალაქო სახლში გაიმართა და მას რუსთავის მუნიციპალური თეატრის შესანიშნავი მსახიობი **ზურაბ ჯინჭარაძე** უძღვებოდა, მისი თეატრალური და პოეტური გემოვნება აშკარად იგრძნობოდა ღონისძიების ყველა ნომრის მსვლელობისას.

საიუბილეო საღამოს ლაიტმოტივად გასდევდა სკოლის იმ სასახელო კურსდამთავრებულთა პატივით მოხსენიება და დაფასება, ვინც უახლოეს წარსულში, საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად. ისინი სამნი არიან: **გიორგი სხვიტარიძე**, **ევგენი ხარძიანი** და **ლევან დევდარიანი**. სკოლას ერთ-ერთი მათგანის, ამჟამად ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენის კავალერის **ლევან დევდარიანის** სახელი მიენიჭა, რითაც მთელი რაიონი ამაყობს. სცენაზე მოთავსებულ მონიტორზე ამ მამულიშვილთა სახეების და საბრძოლო ეპიზოდების კადრების ჩვენება ხდებოდა.

პარალელურად: კადრებმა ამ სკოლის მრავალწლიანი ისტორია გააცოცხლა პირველი დღეებიდან დღემდე. სცენაზე ასულმა პედაგოგებმა დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენეს ყოფილი დირექტორები: **თამარ ქვათაძე**, **ფიქრია შავრეშიანი**, **თამაზ ქარსელაძე** და სხვები.

ამათგან ერთ-ერთი საუკეთესო დირექტორი, ბატონი **თამაზ ქარსელაძე** ამჟამად ამერიკაშია და იქიდანაც მუდმივად კითხულობს მშობლიური სკოლის ამბებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ღონისძიებაზე თაობათა ურთიერთპატივისცემისა და თანადგომის გამოხატულება იქცევდა. იუბილეს ესწრებოდნენ სხვადასხვა სკოლებიდან მოწვეული ყოფილი პედაგოგები. მათი დამსახურების შესახებ კონკრეტული გვარ-სახელებით არაერთგზის აღინიშნა.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხანდაზმული პედაგოგები და ახალგაზრდები, ყველანი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ გარდაბნის პირველი საჯარო სკოლის პედკოლექტივი ერთურთის მიმართ სიყვარულით გამორჩეული კოლექტივია და ეს განაპირობებს მის ავტორიტეტსაც.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ერთ-ერთი ხანდაზმული და ყველასათვის საყვარელი პედაგოგის **ემა ნემსაძის** ასვლა სცენაზე. მან ინგლისურის პედაგოგ **რომან ღლონტთან** ერთად შეასრულა სიმღერა - **“ამქვეყნად ყველაფერი ბერდება“** და საკუთარი ინტერპრეტაციით ბოლო ჰანგები ასე გააჟღერა:

„ამქვეყნად ყველაფერი ბერდება,

მასწავლებლების გარდა“.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ და კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა თავიანთ აღმზრდელ სკოლას და პედაგოგებს რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **ნინო გვარამაძემ**, სკოლის ყოფილი დირექტორის ყოფილმა მოადგილემ – **მერი ლომსაძემ**, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასკოლო პროგრამების ხელმძღვანელმა **მარინე უგულავამ** და სხვებმა.

– ჩვენი რაიონის ისტორიული მიწა, ვახტანგ გორგასლის ნაფეხურები ისევ რომ ამჩნევია, ბევრ რამეს გვავალებს. ეს მხარე კულტურის, ერთიანობის, მიზანმიმართული შრომის ასპარეზი იყო, რაც ამჟამად მოქმედი ქართული სკოლისათვის მხოლოდ უბრალო ისტორიად არ უნდა იქცეს. ცივილიზაციის და ტექნოკრატიის ეპოქაში ისტორიულ ფესვებთან კავშირი და ტრადიციების პატივისცემა ეროვნული ცნობიერების შრეებს უნდა გვიღრმავებდეს და სკოლის ყველა კურსდამთავრებულს სასიკეთო საქმეთა საკეთებლად გვაფხიზლებდეს, - აღნიშნა **მარინა უგულავამ**.

ღონისძიებაზე მადლობა გადაუხადეს ღირსების ორდენოსან პედაგოგებს და

უფროს მასწავლებლებს: **ნაზი ბლიაძეს**, **კლარა ფურელიანს**, **ემა ნემსაძეს** და სხვებს.

სცენაზე რამდენიმე წუთით სკოლის ამჟამინდელი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ახალგაზრდა დირექტორი **ნანა თარალაშვილი**, მოადგილე სასწავლო დარგში **ლუარა ტალახაძე**, მოადგილე აღმზრდელობით დარგში **ნანა ყანდიაშვილი**, საქმისმწარმოებელი **ქეთევან ნატმელიძე**, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი **კახა ხვიბლიანი** და ბუღალტერი **ნინო უგულავა** მიიხმეს.

– სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი წლიდან-წლამდე იზრდება, მუდმივად ხალისდება პედაგოგთა კადრები, უმეტესობა მათგანი უკვე სერთიფიცირებულია, ტექნიკურად სრულყოფილად არის აღჭურვილი ყველა კლასი, კაბინეტი და ლაბორატორია, გვაქვს სპორტული დარბაზი და ძალიან კარგი ბიბლიოთეკა, ვამუშავებთ ახალ პროექტებს და წლიდან-წლამდე იზრდება მოსწავლე-პედაგოგების ჩართულობა პროექტებში. მაგალითად, მესამე წელია, წარმატებით ხორციელდება პედაგოგ **ლუარა ტალახაძის** პროექტი, რომელიც მიზნად სოციალურად დაუცველი ბავშვების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ჩვენს ყველაზე დიდ მიღწევად კი ის მიგვაჩნია, რომ მშობელი, სკოლა მთლიანად და თითოეული პედაგოგი ერთი სულისკვეთებით ვმუშაობთ და ვურთიერთობთ. დღევანდელი ღონისძიება ამ ფაქტის დასტურია. სულ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები ამ ობიექტის დღევანდელობით მთელს რეგიონს უკონფლიქტო, პოლიტიკურად მშვიდი ცხოვრებისა და კეთილი ურთიერთობების მაგალითს ვუჩვენებთ. განათლების ეს ობიექტი ჩვენი ყველა მოსწავლისათვის ოაზისია და ასეც იქნება მომავალში.

საიუბილეო ღონისძიებაზე მოსულმა სტუმრებმა, რაიონის გამგებელმა **გარსევან ნიორაძემ**, საკრებულოს ბუნებრივი რესურსებისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ **ბაკურ ზურაბიანმა**, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ **თენგიზ მიროტაძემ**, თუმც ადრე დატოვეს ღონისძიება, ჩვენთან საუბარში მაინც მოასწრეს იმის თქმა, რომ მომავალი წლიდან გარდაბანში **კიდევ ერთი ახალი ქართული სკოლის მშენებლობა იგეგმება** და ბევრი სხვა სიკეთე ხორციელდება განათლების სისტემის მთელი რიგი ობიექტებისათვის. რაც შეეხება პირველ საჯარო იუბილარ სკოლას – ხაზგასმით აღნიშნა გარდაბნის გამგებელმა, მას ისეთი ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელიც თავს არასოდეს შეირცხვენსო.

მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ბავშვთა ანსამბლმა, გუნდმა **„ბეთანიამ“**, ამ სკოლის მასწავლებელთა გუნდმა ქართული სიმღერების რეპერტუარის შესრულებით, ანსამბლმა **„თეთნულდმა“** – არაჩვეულებრივი გამოსვლით. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ამ ანსამბლის ნიჭიერი ხელმძღვანელის **სოსო ტვილდიანის** შესახებ, რომელიც წლების განმავლობაში უანგაროდ უწევს თანადგომას სკოლას. განსაკუთრებულად მოიწონა მაყურებელმა ლათინო-ამერიკული ცეკვების ანსამბლის გამოსვლა **მადონა** და **ანზორ ბლიაძეების** ხელმძღვანელობით. შესანიშნავად შეასრულეს ცეკვა „ქართული“ ამ სკოლის მოსწავლეებმა **და-ძმა ფერაძეებმა**...

ღონისძიება დამთავრდა, მაგრამ იგი კვლავაც გრძელდება ახალ-ახალი მიღწევებით.

ლია მარტაშვილი

აღზრდა-განათლების ღირსეული კერა – ბრიტანული ცენტრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლა

დიღმის მასივში, ლუბლიანის ქუჩაზე გამვლელის ყურადღებას იპყრობს თანამედროვე სტანდარტებით აგებული ლამაზი შენობა. ამ შენობაში ფუნქციონირებს ბრიტანული ცენტრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის კერძო სკოლა. იგი დაფუძნებულია ინგლისური ენის შემსწავლელი ბრიტანული ცენტრის მიერ, ხოლო სკოლის დამფუძნებლებმა წმინდა ნიკოლოზი აირჩიეს თავ-

ისი მოსწავლეებისა და მასწავლებლების მფარველად. ბრიტანულ ცენტრთან ერთად სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელია სკოლის დირექტორი **მანანა გიორგაძე**. იგი პროფესიით ქიმიკოსია, თავისი საქმიანობის უდიდესი დრო მან მოსწავლეების სწავლა-აღზრდის საქმეს მოახმარა. მუშაობდა ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურში ქიმიკოსთა წრის ხელმძღვანელად, 155-ე საჯარო სკოლაში ქიმის მასწავლებლად, 16 წელი იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. იყო ერთ-ერთი კერძო სკოლის დირექტორი.

სკოლამ თავისი არსებობის სამწლიან პერიოდში საკმაო წარმატებებს მიაღწია და დაიმკვიდრა ერთ-ერთი საუკეთესოს სახელი კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

სკოლის პრიორიტეტი ხარისხზე ორიენტირებული სწავლებაა. იგი პირნათლად ასრულებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებულ ნორმებსა და რეკომენდაციებს. აქ კიდევ დამატებითი პროგრამებით ასწავლიან უცხო ენებს. სკოლა არის გახანგრძლივებულ დღის რეჟიმზე. დღის მეორე ნახევარში მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა კლუბურ მუშაობაში. დარჩენილ დროს იყენებენ საშინაო დავალებების მოსამზადებლად.

სკოლას ძლიერი კადრი ჰყავს. შეთანხმებულად მუშაობენ კათედრები: ქართული ენა-ლიტერატურის – ხელმძღვანელი **ლალი ბიბილეიშვილი**, მათემატიკის – **ნინო თავბერიძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა – **ხათუნა ფირანიშვილი**, უცხოური ენების – **მაია ბათუაშვილი**, საზოგადოებრივ მეცნიერებათა – **ეკა ცივქარიშვილი** და ესთეტიკური აღზრდის – **ელენე კერესელიძე**. კათედრების მუშაობასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას კორდინირებას უწევს სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ფიზიკა-მათემატიკის გამოცდილი პედაგოგი **მზია თედორაძე**.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით არჩეულია ფასილიტატორები **ნინო გოგლიძე** და **ხათუნა ფირანიშვილი**, ასევე შექმნილია მასწავლებლის შეფასების ჯგუფი. ამჟამად სკოლაში მუშაობს 15 უფროსი პედაგოგი: ინგლისური ენისა – **ლალი წოწონავა**, **მანანა ჭყონია**, **მაია ბათუაშვილი**, ფრანგულისა – **თამარ ერისთავი**, რუსულისა – **ინა მეტრეველი**, ისტორიკოსი **იზა გოგიბერაშვილი**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **დავით ბინაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ირინე კობახიძე**.

ინგლისურ ენაში მოსწავლეებს ცოდნას უღრმავებს ორი ამერიკელი მასწავლებელი: **მიშელ გევინი** და **ბრედლი მერლოუ**.

სკოლის წარმატებულად და ორგანიზებულად მუშაობისათვის დირექტორს მხარში ედგანან ახალგაზრდა სპეციალისტები, დირექტორის თანაშემწე – **სოფო კობახიძე** და ადმინისტრატორი **ანა მიქაძე**, დაცვის თანამშრომელი **გიორგი ბაბუხჩადია**, ტექნიკური ბაზის მენეჯერი **ნუგზარ მირუაშვილი**, გამოცდილი ექიმი **მანანა ფხაკაძე** და სხვები.

აღმზრდელობით მუშაობას უნარიანად წარმართავენ ფსიქოლოგი **სალომე დუმბაძე**, კლასის დამრიგებლები: **ნინო ტატიაშვილი**, **ნათია უჩავა**, **ნინო თედიაშვილი** და სხვები.

ქართულ-ხალხურ ცეკვას მოსწავლეებს ასწავლიან: **ეკა კახნიაშვილი** და **რატი მამასახლისი**, მუსიკასა და ვოკალს – **ლელა სიხარულიძე**, მეტყველების კულტურას **ნანა კაკაბაძე**, ფერწერას – **სალომე გომელაური**, ცურვას – **ანა სალნიკოვა** და **მარინე ლომიძე**, ფეხბურთსა და კალათბურთს – **ნიკოლოზ ჩალაძე** და ა.შ. კლუბურ მუშაობას კოორდინაციას უწევს სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული **თათია ხვისტანი**.

სკოლას ჰყავს საამაყო კურსდამთავრებულები: **ანასტასია კეკელაშვილმა** სწავლა განაგრძო ადამ მიცკევიჩის სახელობის პოზნანის საერთაშორისო უნივერსიტეტში (პოლონეთი), **ნინო სარიშვილმა** ლონდონის უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, ასევე ამა თუ იმ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. შარშან სკოლას ჰყავდა ერთი მედალონსანი – **დალი ყანჩაშვილი**. ამავე წელს სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში, მე-10 კლასის მოსწავლე **გვანცა ციცქიშვილი** გავიდა ქალაქის მასშტაბით პირველ სამეულში.

ნიჭიერმა მოსწავლეებმა ნახატების კონკურსში საპრიზო ადგილები მოიპოვეს: 1 ადგილის მფლობელი გახდა მე-6 კლასის მოსწავლე **ნინო ზაბახიძე**; II ადგილი დაიკავა – მე-4 კლასელმა **დავით ჯავახაძემ**. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის თემაზე გამოცხადებულ კონკურსში მე-9 კლასის მოსწავლემ – **მარიამ ხარებავამ** დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.

სკოლის სტრატეგიული გეგმით მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან საუკეთესო პირობებით, რათა მიიღონ არა მხოლოდ უმაღლესი აკადემიური შედეგები, არამედ მოახდინონ მიღებული ცოდნის რეალიზება. სკოლაში შემოღებულია რეიტინგული სისტემა. გამარჯვებულ მოსწავლეს სკოლა თავისი დაფინანსებით უშვებს დიდ ბრიტანეთში, Saint Lowrence-ის კოლეჯში ორკვირიან ენის კურსებზე. ამ წესით შარშან იქ გაემგზავრნენ: **ლევან კილაძე** და **ლევან ლეკიშვილი**, **გვანცა ციცქიშვილი** და **ზუკა გაბაიძე**. არსებული სისტემის საფუძველზე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს – **ელენე მათიაშვილსა** და **ნინო ზაბახიძეს** სწავლის საფასური გაუნახევრდათ.

ამავე სისტემაზე დაყრდნობით ხდება მოსწავლეთა შერჩევა გაეროს ახალგაზრდულ ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად.

სკოლა ქმნის ყველანაირ მამოტივირებელ საფუძველს, რომ აღიზარდონ საერთაშორისო დონეზე მოაზროვნე ახალგაზრდები. მოსწავლეები სკოლაში ეცნობიან ურთიერთობისა და სწავლის ახალ ფორმებს.

საინტერესოდ მუშაობს სკოლის თვითმმართველობა, რომელსაც ხელმძღვანელობს მე-11 კლასელი **ლუკა მკურნალიძე**. იგეგმება მრავალფეროვანი სპორტული და სხვადასხვა ღონისძიებები.

სკოლის დირექცია, ყველა თანამშრომელი ერთიანი ძალისხმევით შეძლებენ წარმატებით სვლას და აღუზრდიან ქვეყანას ღირსეულ მოქალაქეებს.

რომან მოსეშვილი

„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

ნომრის სტუმარია თბილისის 150-ე ბაგა-ბაღი

ევროპული სტანდარტებისკენ თვალი უჭირავთ

ცეროდენების ამ ზღაპრულ სამყაროს სახელოვანი ისტორია ამშვენებს. ვინ მოთვლის, რამდენი დიდი მამულიშვილი გაუზრდია 150-ე ბაგა-ბაღს. მართლაც, ყველას ვინ ჩამოთვლის. ერთი მაგალითიც კმარა: აქ აიდგა ფეხი და დაფრთიანდა საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**.

ბაგა-ბაღში დირექტორად გამოცდილი, შემოქმედი, ენერგიული ხელმძღვანელი **მზია მეტრეველი** და სულ მალე დაატყო აქაურობას თავისი ხელწერა: ხუთი ჯგუფი იყო აღსაზრდელთა მცირე კონტინგენტით, ახლა კი შვიდია. მთლიანად იცვალა ბაღმა იერსახე, განახლდა, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, არე-მარე გაბრწყინდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოხდა შრომისმოყვარე თანამშრომელთა მოიხიბლებით, ზღაპრული ეზო აქვს გაჯერებული: კარუსელებითა და სასრიალოებით, აი, „აიწონა-დაიწონა“, „ცხენი მხედარს ელოდება“. არაერთი ათეული წლისაა სპილოს, ჟირაფისა და ვირუკელას სკულპტურა. ბავშვების ხალისიან ჟრიამულს საზღვარი არა აქვს. აცივდა? ცუდი ამინდები დაიჭირა? გასართობი ატრაქციონები ფართო ფოიეშიც არის განთავსებული. აქაც შეუძლიათ პატარებს იკუნტრუშონ. ბედნიერია ბავშვობა მათი. კმაყოფილნი, გახარებულნი არიან მშობლები ასეთი პირობებით. ბაგა-ბაღი თანდათანობით ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება.

– გაბედულად ვნერგავთ ახალ პროექტებს. ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ სიახლეებს, დღევანდელობის მოთხოვნებს, – ამბობს დირექტორი, – სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობისთვის ვხელმძღვანელობთ განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიითა და პროგრამასახელმძღვანელოებით. მობილიზებული ვართ „სასკოლო მზაობის პროგრამის“ წარმატებით განხორციელებისათვის.

ბაგა-ბაღს მაშინ ვეწვიეთ, როდესაც საქმიანი მსჯელობა მიმდინარეობდა ახალი პროექტის განსახორციელებლად. „ქართული ეროვნული სამოსი“, ასე ქვია ამ პროექტს, რომელიც საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ნორჩი თაობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ითვალისწინებს.

საუბარში საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ნინო ზაუტაშვილი** ჩაგვერთო: „სასკოლო მზაობის პროგრამის“ აღმზრდელებამდე დასაყვანად აღმზრდელებთან და თანაშემწეებთან ტრენინგები მოვაწყეთ. დავამუშავეთ სწავლების მეთოდიკა. გვაქვს თვალსაჩინო მასალა, სქემები, თემატური ცხრილები და ასე, თამაშით სწავლების პრინციპით, მიმდინარეობს მეცადინეობები. ბავშვების შემეცნებითი განვითარების თემატიკა მრავალფეროვანია: ეზოს მოძრავი თამაშები, კვლევები, აღმოჩენები, სხვადასხვა სახის სავარჯიშოები, დიდია ცეროდენების ინტერესი და ჩართულობა ამგვარ აქტივობებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნორჩებში ხელოვნებისადმი სიყვარულის განვითარებას. ამ მიმართულებით საინტერესოდ მუშაობს ბავშვთა „თოჯინების თეატრი“. პატარებმა მოამზადეს და დადგეს ისეთი სპექტაკლები, როგორიცაა „მეგობრობა“, „მაშა და დათვი“, „მეფე და ჩიტი“, ლომი და მელია“ და სხვა. სამუსიკო დარბაზში ხშირია საზეიმო კონცერტები, გამოსაშვები და საახალწლო კარნავალები, „მხიარული სტარტები“. ყველა ჯგუფს აქვს თავისი სიმბოლიკა ვინ ჭიამაიაა“, ვინ „ცეროდენა“, „პანდა“, „გვირილა“ თუ „პეპელა“.

აქ ორი გამოსაშვები ჯგუფია „ბალუ“ და „ბზიკები“. მათ ივნისის ბოლოს დიდი ზეიმით გააცილებენ, სრულ სასკოლო მზაობაში მყოფთ გზას დაულოცავენ პირველი კლასისაკენ. სამახსოვროდ გაატანენ ბაღდამთავრებულის კოხტა სიმბოლურ სამკერდე ნიშანს.

ასეთი წესით გასულ სასწავლო წელს 70 ბავშვი გააცილეს სკოლისაკენ.

მეგზურობას დირექტორი **მზია მეტრეველი** და მეთოდისტი **ნინო ზაუტაშვილი** გვიწევენ. აი, კეთილმოწყობილი სტენდები და მშობელთა კლუბის მუშაობის ამსახველი კუთხე. მშობლები აქტიურად არიან ჩართულები ბაგა-ბაღის ცხოვრებაში. ისინი ესწრებიან მეცადინეობებს, კვების პროცესს, სისტემატურად თანამშრომლობენ ფსიქოლოგ **მ. გვილავასთან** და მისგან სწორ რჩევასა და რეკომენდაციას ღებულობენ. მშობელთა კლუბის თემატიკას სწორედ მშობლები უკვეთავენ ფსიქოლოგს და მსჯელობაც შინაარსიანი და შედეგიანი ხდება. აქ განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენს ფსიქოლოგის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები, რომლის ანალიზიც სწორ მინიშნებას აძლევს კოლექტივს, თუ სად არის სუსტი რგოლი და რისი დახვეწაა საჭირო. სწორედ, ასეთი ურთიერთობები და

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

მშობლებთან თანამშრომლობა განაპირობებს ბაღის მუშაობის საერთო წარმატებას.

თემატური შეხვედრები, წიგნიერებისა და გონებრივი განვითარების განმსაზღვრელი კონკურსები, ვიქტორინები და სხვა. ბ/ბაღში ფართოდ არის წარმოდგენილი ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები. აღსაზრდელებს განსაკუთრებით მოწონთ ცოცხალი ფრინველებისა და თევზებით დამშვენებული შიდა გარემო. ეზიარებიან ფლორასა და ფაუნას, დიდი რუდუნებით უვლიან თავიანთი ხელით დარგულ მცენარეებს ეზოში, იღებენ მოსავალს და თვითონვე იტკბარუნებენ პირს.

ბ/ბაღში ვიდეო თვალის მონტაჟი, კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მიმდინარე პროცესების მონიტორინგს. თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული კვების რეჟიმის ამსახველი „მენიუ“, რაც საშუალებას აძლევს მშობელს ინფორმირებული იყოს თავისი შვილის კვებაზე. კიბის ცენტრალურ ასასვლელს საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ეპისტოლედან სწავლა-აღზრდის შესახებ შერჩეული ტექსტები ამშვენებს.

მზია მეტრეველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალისხმევას იჩენს ბ/ბაღის შემდგომი განვითარებისა და რეფორმების დანერგვის კუთხით, დედაქალაქის ბ/ბაღების მართვის სააგენტო. სისტემატიურად ვღებულობთ რეკომენდაციებსა და მითითებებს. ტარდება დარგობრივად ტრენინგები თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პრაქტიკულად არაერთხელ შეძლო სააგენტოს ხელმძღვანელობამ აქ საქმიანი სტუმრობა. სწორედ მათი მუშაობის შედეგად მოხდა ქალაქის ბაღებში ერთიანი მენიუების დანერგვა, მეცნიერულ დონეზე იქნა შესწავლილი კვების რაციონი და ჩამოყალიბდა თითოეული კერძის დამზადების რეცეპტურა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა, რომ მ/წლის სექტემბრიდან მკვეთრად გაუმჯობესდა კვების რაციონი, იგი უფრო მრავალფეროვანი და კალორიული გახდა. იმ დღეს მენიუში უხვად იყო წარმოდგენილი ხორცის, რძისა და ხილის ასორტიმენტი. დავათვალიერეთ კეთილმოწყობილი სამზარეულო თავისი პროდუქტ-ბარაქით და აღჭურვილობით. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ირგვლივ ჰიგიენის დაცვის მაღალი ხარისხი.

ღიმილიანი შეგვეგება გამოცდილი, გემრიელი კერძების გემოვნებიანი ავტორი, მზარეული **ლალი მინდიაშვილი**. დირექტორი მომთხოვნია, მაგრამ კარგი მუშაკის შექებაც ემარჯვება: ცეროდენებს ძალიან უყვართო ლალი დეიდას მიერ დამზადებული არომატულ-ყუათიანი კერძები, - ხაზგასმით აღნიშნა მან.

ვნახეთ ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის, **ფიქრია ჩირაძის** კეთილმოწყობილი კაბინეტიც. იგი ფხიზლად დგას პატარების ჯანმრთელობის და ჰიგიენის ნორმების დაცვის სადარაჯოზე. ასევე აკონტროლებს კვების რეჟიმსა და რაციონის კალორიულობას.

დირექტორმა და მეთოდისტმა ბაგა-ბაღის ცხოვრების კულისებშიც ჩაგვახედეს. დავათვალიერეთ ბავშვთა სასადილო დარბაზი. ზოგიერთ ჯგუფში გავეცანით სასწავლო პროცესს: თამაშებს, პატარების დამოუკიდებელ მეცადინეობებს, კითხვა-პასუხის ფრაგმენტებს. ყველგან თვალსაჩინოებაა, თოჯინები ყველგან იცინიან.

სამუსიკო დარბაზიდან ქართული ხალხური სიმღერის ტკბილმშობლიური ჰანგები მოგვესმა. აღსაზრდელების ხმაშეწყობილი სიმღერა სმენას ატკბობდა და აღტაცებას იწვევდა. აქეთ წამობრძანდით! — შეგვიძღვა ქ-ნი მზია.

სამი წლის ცუგრუმელები ოსტატურად მღეროდნენ რაჭულ ხალხურ სიმღერას „რა-შოვდა“, მათ დღეს ფოლკლორის პედაგოგი **ნანა გურგენიძე** ამეცადინებთ. ხვალ კი, მათ მუსიკალურ სწავლებას ცეკვისა და მუსიკის პედაგოგი **ხათუნა გილაური** გააგრძელებს.

იგი კარგი პროფესიონალი და შემოქმედი ქალბატონია. უყვარს ბავშვები და მათი მუსიკალური გემოვნების განვითარებაზე დაუზარელად მუშაობს.

ბ/ბაღის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული დირექტორის მოადგილე **ეკატერინე ქავთარაძე**. იგი ყოველდღიურად აკონტროლებს ბავშვთა მიღება-დასწრების საკითხს. პერსონალური პასუხისმგებლობა აქვს აღებული კვების ბლოკის მუშაობაზე. სისტემატურად ანახლებს ბ/ბაღის საიტზე ინფორმაციებს, რომელიც პატარებისა და ბ/ბაღის შრომითი კოლექტივის ყოველდღიურ შინაარსიან ცხოვრებას ასახავს.

ქ-ნ მზიას ვკითხეთ, თანამშრომელთა შორის ხომ არავის გამოარჩევდითო?!

მან თავი შეიკავა დასახელებისაგან. ის კი გვითხრა: მთავარი საერთო შედეგზე ორიენტირებული გუნდური მუშაობის წესების დაცვაა. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვაქვს. სირთულეები არის, მაგრამ ყველა ერთად ვართ. საჭიროება როგორც მოითხოვს, არავის არ გვეთაკილება შრომა, ისე როგორც ეს საკუთარ ოჯახში ხდება. ჩვენ ერთი გუნდი ვართ, რომელსაც ახასიათებს პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი.

ასე გუნდურად, ასე შემართებით, საქმის სიყვარულით შრომობენ 150-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგები და მისი თითოეული თანამშრომელი.

ასეთი მჩქეფარე, ხალისიანი ცხოვრებით ცხოვრობს 150-ე ბაგა-ბაღი. მოდის ახალი წელი.

წინასწარ ბედნიერ ახალ წელს გილოცავთ, 150-ე ბაგა-ბაღელებო! ბავშვებო, მშობლებო და აღმზრდელებზე მზრუნველო პროფესიონალებო. მრავალ ახალ წელს!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ცნობილი სახეების გალერეა

ღირსეული ქალბატონი

– **ძალიან** მიყვარს ჩემი საქმე და უფლის წყალობით, სწორედ იქ აღმოვჩნდი, სადაც უნდა ვყოფილიყავი – ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი, თბილისის 142-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **შორენა ცნობილაძემ,** რომელიც მართლაც სანიმუშო დირექტორია და ღირსეულად აგრძელებს სკოლის ტრადიციებს.

ცოტა რამ მისი ბიოგრაფიიდან...

შორენა ცნობილაძე დაიბადა ტყიბულში 1966 წელს და ამავე ქალაქში გაიარა დაწყებითი განათლების პირველი საფეხური, ხოლო მე-7 კლასიდან სწავლა განაგრძო თბილისის 132-ე (ახლანდელი 32-ე) სკოლაში, რომლის დირექტორი გახლდათ საამაყო პიროვნება – **ოთარ თეთვაძე**, რომელიც მუხლჩაუხრელად იღწვოდა მომავალი თაობის აღზრდა-განათლებისთვის.

შორენა ცნობილაძე გაიზარდა ისეთ ოჯახში, რომელიც სიწმინდით და სისპეტაკით გამოირჩეოდა. მამა გახლდათ **დემურ ცნობილაძე** ინჟინერ-მექანიკოსი, თავისი საქმის პროფესიონალი და არაჩვეულებრივი პიროვნება, ღირსეული ვაჟკაცი, რომელიც 29 წლის ასაკში გარდაიცვალა და დააკლდა არამარტო ოჯახს, არამედ ქალაქს. ოჯახის გაძღოლა და 3 ობლის გაზრდა დედამ – **ცირა გულაღაშვილმა** იტვირთა. იგი ძალიან განსწავლული, განათლებული ქალბატონი იყო. მუშაობდა ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში რენტგენო-ლაბორანტად. ბავშვებს კარგი განათლებაც მისცა და ფეხზე დააყენა. სამწუხაროდ, ისიც ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან...

ოჯახი...

ქალბატონი შორენა, 1986 წელს, დედაუნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და იმავე წელსვე გათხოვდა, სიყვარულით შექმნა ოჯახი. მისი მეორე ნახევარი **ნუგზარ ხუსიაურია**, რომელიც ამჟამად, კერძო ბიზნესით არის დაკავებული, კარგი მეოჯახე, წესიერი ადამიანი და მზრუნველი მამაა.

– 30 წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ერთად ვეწევით ცხოვრების ჭაპანს, კარგი ადამიანია, უყვარს ოჯახი, ამბობს ქალბატონი შორენა, გვყავს 3 შვილი... **ანა** პროფესიით მსახიობი, **სალომე** დიზაინერი, ხოლო ვაჟი – **მიშო** თეატრალი. ანა და მიშო უფრო დედას გვანან, ლაღები და კომუნიკაბელურები არიან, ხოლო შუათანა – სალომე მამის ასლია, ძალიან გულწრფელი, სამართლიანი, მოსიყვარულე და დამოუკიდებელია.. სამივე დაოჯახებულია და ჰყავთ შესანიშნავი მეგზურები, სიძეები: **ლადო დოლიძე** და **ირაკლი გურგენიძე**, ხოლო რძალი – **ნათია სეხნიაშვილი**. ამ არაჩვეულებრივ ოჯახს კიდევ უფრო ალამაზებს ორი შვილიშვილი: თათული და ანიტა. სულ მალე კი, მათ მესამე პატარაც შეემატებათ.

ბავშვობის მოგონებები...

ბავშვობა ყველაზე ბედნიერი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც მთელი ცხოვრება ლამაზ მოგონებად რჩება და იმ პერიოდში განცდილი ბედნიერი წუთები თუ მძაფრი განცდები, სამუდამოდ აღიბეჭდება ხოლმე თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში... ასე მოხდა ჩვენი რესპონდენტის ცხოვრებაშიც... ქალბატონ შორენას ბავშვობა უკავშირდება მის მშობლიურ კუთხეს – ტყიბულს, სადაც იზრდებოდა დიდი სიყვარულის გარემოცვაში. მას ბებიები, ბაბუები და ბიძები განსაკუთრებული მზრუნველობით ზრდიდნენ. ასწავლიდნენ სიკეთის კეთებას და მოყვასის სიყვარულს. სწორედ, ამიტომაც სიამაყით აღნიშნავს ხოლმე, თუ რაიმე კარგი თვისება გამაჩნია, ეს მათი დამსახურებაა, რადგან ძალიან კარგი ადამიანების გარემოცვაში ვიზრდებოდიო. ლამაზი მოგონებების გარდა, იგი იხსენებს იმ პერიოდს როცა 6 წლის ასაკში მამა დაკარგა. დღემდე არ განელებია ის ტკივილი და თვალცრემლინი ყვება ოჯახის ტრაგედიას.. ქალბატონი შორენა, ახლაც, ხშირად სტუმრობს თავის მშობლიურ კუთხეს, სადაც მისი მშობლების საფლავია

და ის ხალხი ცხოვრობს, ვინც მას ბავშვობის სასიამოვნო შთაბეჭდილება დაუტოვა.. იქაურობას, მაინც სულ სხვა ეშხი, სურნელი აქვს და მეამაყება, რომ ტყიბულელი ვარო, – ამბობს იგი..

კარიერული წინსვლა...

ქალბატონმა შორენამ, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში თსუ-ს გამომცემლობაში დაიწყო მუშაობა, მერე კერძო სექტორში გადაინაცვლა. მოგვიანებით, მუშაობდა 32-ე სკოლაში, ეთიკისა და ესთეტიკის პედაგოგად. შემდეგ, მისმა ყოფილმა მასწავლებელმა **გულიკო ლებანიძემ**, თავისი ქართული ენისა და ლიტერატურის საათები დაუთმო, ხოლო 2007-2011 წლებში იყო ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე, ხოლო 2011 წელს, კონკურსის გავლის შემდეგ დაინიშნა 142-ე საჯარო სკოლის დირექტორად. მისი მოსვლის დღიდან სკოლაში არაერთი სიახლე და წარმატებული პროექტი განხორციელდა, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა.

უაღრესად კეთილშობილი, ენერგიული და შრომისმოყვარე, სამართლიანი და თავდაუზოგავი, – ასე ახასიათებენ მას კოლეგები. ქალბატონი შორენა, იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთანც ურთიერთობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს ყველას, დიდსა თუ პატარას. ძალიან უყვარს ბავშვები, სკოლა, თავისი კოლექტივი და მუშაობის პროცესში თითოეული თანამშრომლის აზრს ითვალისწინებს. წარმატებებს ვუსურვებთ ამ ღირსეულ ქალბატონს თავის პირად და პროფესიულ საქმიანობაში.

მზია გოგოძე

„საუნჯე“ წარმატებების გზაზე

მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმი „საუნჯე“ ახორციელებს სახელმწიფოსა და საზოგადოების დაკვეთას საგანმანათლებლო საქმიანობით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის და სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველზე ქართული და ინგლისური ენების და მათემატიკის გაღრმავებული სწავლებით.

სასწავლებლის მთავარი ამოცანაა შექმნას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები.

იგი ზრუნავს შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად.

მასწავლებელთა უმრავლესობა სერთიფიცირებულია.

სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს:

– სასიამოვნო კომფორტულ გარემოს;

– სხვადასხვა გასართობ და სპორტული სახის წრეებს;

– გაძლიერებულ პროგრამებს;

– ღონისძიებებს, ზეიმებსა და გამოფენების მოწყობას მთელი წლის განმავლობაში;

– სკოლა ზრუნავს ბავშვის ფიზიკურ, ესთეტიკურ და მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას საჭიროების შემთხვევაში.

სკოლის მიზანია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით აღზარდოს განათლებული, წარმატებული და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობა.

სკოლაში მოსწავლეებს უყალიბდებათ კულტურული ღირებულების შეფასებისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მათ წარმატებას.

სწორედ დაგეგმილი სასწავლო პროცესისა და პრაქტიკული მეცადინეობის საფუძველზე მოსწავლეები შეძლებენ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხოეთის ნებისმიერ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში.

სკოლის მიღწევებია: მოსწავლეთა წარმატებები სწავლაში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, მოსწავლეთა სკოლაში ყოფნის სურვილი, მათი ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, უსაფრთხო გარემო, პედაგოგთა კადრის შენარჩუნება, ჯანსაღი კონკურენცია.

სკოლაში მრავლად არიან წარჩინებული მოსწავლეები, მათგან გამოირჩევიან: **დეა დვალიშვილი, ანი ლამაზოშვილი, გიორგი ქარჩავა, ბესო დვალიშვილი, გიორგი ოდიშვილი, მარიამ ჯაფარიძე, ლუკა ჩახუნაშვილი, ქეთი გრძელიძე, მარიამ ჩალათაშვლი, ნიკა ნატმელაძე, ეთო სამუშია, ანი გოგიაშვილი, ლუკა კუჭუხიძე, ლიზი კუპრაშვილი, ლიზი ლიპარტელიანი, სანდრო თავბერიძე, დათო დვალიშვილი, ლიზი შარიქაძე, ანი რევაზიშვილი.**

მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმი „საუნჯე“ დაფუძნდა 2002 წელს. სკოლა-ლიცეუმის დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ ქალბატონი **მაია კუპრაშვილი**.

– სკოლა აქტიურადაა ჩართული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ყველა პროექტში;

– უზრუნველყოფს მაღალი სასწავლო გარემოს შექმნას;

– მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

– კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

კურსდამთავრებულთა შორის აღნიშვნის ღირსნი არიან: **მარი რომელაშვილი, გიორგი ქენქაძე, დათო აბესაძე, ოთო ხვედელიძე, თემურ აბესაძე, ნინო სვანიძე, ბაქარ ბელქანია.**

სკოლის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებული არიან სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში.

„საუნჯის“ მთელი კოლექტივი – დირექტორის ქალბატონ **მაია კუპრაშვილის**, მის მოადგილეებს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში **ინგა ჯიქიასა** და **ფიქრია კუპრაშვილის** ხელმძღვანელობით მოწოდებული არიან განათლებული და სათანადოდ აღზრდილი კადრები მოუმზადონ სამშობლოს.

გაზეთის დირექცია სკოლა-ლიცეუმ „საუნჯეს“ უსურვებს შემდგომ წარმატებებს საგანმანათლებლო და აღმზრდელობით საქმიანობაში.

რომან მოსეშვილი

ევროპული სტანდარტების დონეზე

„ხუთიკუნჭულა" ხუთჯერ უფრო დამშვენებულა

ხუთი წლის წინათ ვნახე დიდი დიღმის ცეროდენების ზღაპრული სამყარო **„ხუთკუნჭულა"**. მას შემდეგ ხუთჯერ უფრო დამშვენებულა იგი. ხუთჯერ მეტი ხიბლი შეუძენია. ხუთჯერ ორმოცდაათი ცუგრუმელა დაუფრთიანებია და გზა დაულოცია სკოლისკენ. ეს მხოლოდ ხუთი წლის მანძილზე, თორემ ეს ბაგა-ბაღი დიდი დიღმის მეოთხე მიკრორაიონში რვა წლის წინათ დაიბადა, მისი დამფუძნებელი, მოელვარე ნიჭის შემოქმედი **იაგო მაისურაძე** დღესაც დიდი ენთუზიაზმით ზრუნავს ამ უბნის ბავშვების კეთილდღეობაზე. იაგოს მეგზურობით ვათვალიერებთ ამ საოცრებას: „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა!" „ყვავილები, ყვავილები – ნაირ-ფერად-ფერადი". „თოჯინები, თოჯინები – თვალხატულა-მცინარე!" მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურაზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

სისუფთავე, კვება, მეცადინეობა, უნარ-ჩვევების აღზრდა, თამაში, რომელიც სწავლას ჯობია – ყველაფერი ეს ერთმანეთზე უკეთესია. ძალიან კმაყოფილი არიან მშობლები და ეს არის მთავარი. გულსატკენია მხოლოდ ის, რომ „ხუთკუნჭულა" ყველა მსურველ პატარას ვერ იტევს და ვერ ჩაიხუტებს.

ბატონ იაგოს შესანიშნავი კადრები ჰყავს, გამოცდილი შრომისმოყვარე აღმზრდელები, სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები. დირექტორის მოადგილეს **ეკა გიგიტაშვილს** დიდი ღვაწლი მიუძღვის ბაგა-ბაღის აღორძინება-კეთილდღეობაში.

საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (მეთოდისტი) **ნინო მაისურაძე** ამ ზღაპრული სამყაროს სული და გულია. უნარიანად, ნაყოფიერად უძღვება იგი ყველაზე რთულ და შრომატევად საქმეს, რომელსაც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ჰქვია. ყველა სიახლე-ღონისძიების ინიციატორია და მისი მეთოდური ხელმძღვანელობით აღმზრდელები და მათი თანაშემწეები: **ინგა ყიფიანი, ნინო კაპანაძე, ირინე ბურჯანაძე, ნინო მღებრიშვილი, მაია გაბისონია, მარინე ბაბლიძე, ლამარა სავანელი, ხათუნა თოფჩიშვილი, ნინო ქაცარავა, ლანა ლომიძე, ენდი საბაური, ეკა ნარიმანიძე, ნანა კილაძე, თამარ ლომიძე, ლალი ტყემალაძე, მარეხ ჩინჩალაძე, ნატო კაპანაძე** და **ლალი თხილაიშვილი** ჭკვიან, ნიჭიერ, სკოლისთვის მზადმყოფ ბავშვებს აკვალიანებენ.

ასევე ცეროდენებს სულს უფაქიზებენ, ხელოვნების სიყვარულით ზრდიან მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები **ელზა ასათიანი** და **ელისო გრძელიძე**. ეს პედაგოგები მთელი ბაგა-ბაღის ცხოვრებას ახალისებენ და ალამაზებენ. ყველა საზეიმო ღონისძიება – საახალწლო, საკარნავალო თუ გაცილებისა ბრწყინვალედ ტარდება.

ბევრი სიახლეა დანერგილი. ცუგრუმელებს ძალიან იტაცებს და ხიბლავს საბავშვო ზღაპრული და ისტორიული ფილმების პრეზენტაცია, რომლის განხილვაში თავად აქტიურად არიან ჩართულნი.

სიმღერაში, ცეკვაში, ხატვაში, დეკლამაციაში, ხელოვნების სხვა სახეობაში უამრავი ნიჭიერი ბავშვი იზრდება. აქ მათი დასახელება მინდოდა, მაგრამ ყველა ნიჭიერია და...

ბავშვებთან ბევრს მუშაობს ფსიქოლოგი **ხათუნა მაღრაძე** და აყალიბებს მათ უნარ-ჩვევებს. მტკიცედ დგას პაწიები ჯანმრთელობის სადარაჯოზე ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორი **ლია დალაქიშვილი**.

„ხუთკუნჭულას" კეთილდღეობა სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **თეონა ამბოკაძისა** და საქმისმწარმოებლის **მადონა კობახიძის** კარგი მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია. ჰოდა, ისინიც ხუთიანზე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ახალი სასწავლო წლიდან მერიის დადგენილებით მკვეთრად გაუმჯობესდა ბავშვთა კვება და ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ცეროდენებისთვის მეტად პოპულარულ მუშაკებს: მთავარ მზარეულს – **ნანა გელაშვილს** და მის დამხმარეს **თამარ ჭანტურიძეს**. მათ მიერ დამზადებული ყუათიანი, მრავალფეროვანი, არომატული კერძები ძალიან უყვართ პატარებს.

ამხელა ბაგა-ბაღს, მის მშვენიერ ეზოს ჰაერივით სჭირდება ისეთი მზრუნველები, როგორიც არიან: მუშა **იაკობ მაისურაძე**, მებაღეები: **იასონ კუხალაშვილი** და **გრიგოლ საძაგლიშვილი**, ჭურჭლის მრეცხავი **მარინე ცერცვაძე** და **ლალი გუმბერიძე**. დირექტორი მათ შრომას მაღალ შეფასებას აძლევს.

მადლობა ბაგა-ბაღის ეზოგარემოს დაცვა-უსაფრთხოების გარანტებს, დარაჯებს **რევაზ გიგაშვილს** და **მაუგლი გოგოლაძეს**.

ცხრა მთას იქით როდია ახალი წელი. იგი მალე დადგება. ზღვა სიხარულს და ბენდიერი ახალი წლის დადგომას გისურვებთ, „ხუთკუნჭულელებო!"

მაია მიშველაძე

ბესიკის 25-ში მდებარე 55-ე ბაგა-ბაღში, როგორც 55-ე სკოლაში, გამოცდილი და ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ. ეს კი რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად იცის. გულთბილად შეგვხვდა ღვაწლმოსილი დირექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **რუსუდან ჩიქოვანი**. მისი ბაგა-ბაღი პატარაა, მაგრამ ოქროც ხომ პატარაა? მკითხველს არ გადავღლით ინფრასტრუქტურის, ბაღის იერ-სახის, პატარების აღზრდისთვის შექმნილი შესანიშნავი პირობების აღწერით. მოკლედ ვიტყვით, აქ ცეროდენები ხარობენ და ბედნიერად იზრდებიან. შესაბამისად, გახარებული არიან მათი მშობლებიც.

გასახარია ასევე აღმზრდელთა და სხვა მუშაკთა შეხმატკბილებული თანანმშრომლობა, ურთიერთპატივისცემა. ამას ხომ დღეს, ადამიანური გაგებით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ „სიძველისადმი ნდობა, პატივი მართლაც ძლიერად ელვარებს". წინამორბედთა ღვაწლს არ ივიწყებენ. **რუსუდან ჩიქოვანმა** სიყვარულით ახსენა მის წინათ მოღვაწე ამაგდარი დირექტორი **თინა ოსეფაშვილი**, რომელიც ყველა თანამშრომელს ისე უყვარდა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, თითს არ ამოისვამდნენ.

აქ ძვირფასი ტრადიციები გრძელდება. ყველაფერი კეთდება პატარებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად, ხელოვნების სიყვარულით აღსაზრდელად. აქ პრიორიტეტულად ითვლება **„სკოლისთვის მზაობის პროგრამის"** შესრულება. და ამას ყველაფერს სხვა ღონისძიებებთან ერთად ეფექტიანად, მაღალ შედეგზე ორიენტირებულად წარმართავს ინიციატივიანი, შემოქმედებითად მაძიებელი სულისკვეთებით მოღვაწე მეთოდისტი, ანუ სასწავლო პროგრამების კოორდინატორი **მარინე კერესელიძე**. იგი დირექტორის დახასიათებით აღმზრდელ-პედაგოგების დამრაზმავია, ბაგა-ბაღის სული და გულია.

ლომის წილი მიუძღვის ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში შრომისმოყვარე დირექტორის მოადგილეს **ლია ვაშაძეს**. ხოლო ცეროდენების აღზრდა-სწავლების დიდ ანსამბლში ნაყოფიერი ძალისხმევით არიან ჩართულნი: ფსიქოლოგი **როზა ხარაძე**, მუდამ ფუტკარივით დაუზარელი საქმისმწარმოებელი **შორენა ჭაბუკაშვილი**, ხოლო სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ელენე მირიანაშვილის** გარეშე ბაგა-ბაღის ცხოვრება წარმოუდგენელია.

დირექტორი მადლობას უცხადებს ცეროდენების სულის გამფაქიზებლებს, ხელოვნების სიყვარულით ნორჩთა აღმზრდელებს, მუსიკისა და ცეკვის პედაგოგებს: **ლიკა ტიკარაძეს** და **იულიანა ჭეიშვილს**. მათი აღსაზრდელების სიმღერებით, ცეკვებით, კონცერტებით, ზეიმებით მთელი ბაგა-ბაღის ცხოვრება ლამაზდება და ხალისობს. როცა ცუგრუმელები მღერიან: „საზეიმო ხმები ისმის, გული ლხენით აივსო!" ყველა ხარობს და ხალისობს.

55-ე ბაგა-ბაღში ყველა ხუთოსანია

თქვენ გაიხარეთ, ცუგრუმელებო!

უდიდესი წვლილი შეაქვთ ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში მზარეულებს, მთავარ მზარეულ **ნატო ენდელაძეს** და მის დამხმარეს – **ელისო ჩიკვილაძეს**. მადლობისა და ქების სიტყვები არ დაიშურა მათზე დირექტორმა, რადგანაც ჯანსაღი კვება ჯანმრთელობის საწინდარია და გამოცდილი მზარეული ისეთ ყუათიან, არომატულ კერძებს ამზადებს, პატარები დიდი სიამოვნებით მადიანად შეექცევიან.

დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ სანჰიგიენის კოორდინატორს, გამოცდილ ექიმს **ნონა საბაშვილს**.

და ყველა სიკეთის, სიყვარულის, სიხარულის თავი და თავი მაინც აღმზრდელები არიან. განსაკუთრებით ბაგის ჯგუფების აღმზრდელთა და მათი თანაშემწეების რთული შრომაა დასაფასებელი და აფასებს კიდევაც დირექტორი: **თამარ ნაცვლიშვილის, ლალი ბეგიაშვილის, შორენა ბუთლიაშვილის** და **ნინო გულისაშვილის** დიდ ამაგს პაწიების წინაშე.

მარჯვენა დავულოცოთ უფროსი ჯგუფის აღმზრდელებს: **მანანა თევდორაშვილს, ეკა დაგარგულიას, თეა კუჭავას, ხათუნა სიგუას, ეკა ცეცხლაშვილს, გულიკო ჯაშს, მარინე გოგიტაშვილს**, აღმზრდელის თანაშემწეებს: **ცისანა ქვრივიშვილს, ლამარა გულისაშვილს, რუსიკო ახალაძეს, მარგარიტა ჩიქოვანს, ლამარა გვილავას, ნანა ჩიქოვანს**. თქვენი ღვაწლია, რომ ამდენი ნიჭიერი, ჭკვიანი ქვეყნის მომავალი გვეზრდება.

მაღალი შეფასება მისცა დირექტორმა სხვა თანამშრომლების ღვაწლს, რომელთა გარეშე ბაგა-ბაღის კეთილდღეობა წარმოუდგენელია. ესენი გახლავთ შრომისმოყვარე მუშაკები: დამლაგებლები: **ზოია ტატანაშვილი, რუსიკო ცეცაძე, ლუარა ლიპარტია, მალვინა ცომაია, ქეთინო მჭედლიშვილი**, ბაგა-ბაღის მარჯვენა ხელები: მუშა **გიორგი კევლიშვილი** და დარაჯი **ნიკოლოზ კაკაბაძე**.

მთელი კოლექტივის სახელით დირექტორი **რუსუდან ჩიქოვანი** დიდ მადლობას მოახსენებს მერიის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსს, ბატონ **თემურ თორდინავას** თანადგომისა და სისტემატური ყურადღებისათვის.

კარზე მომდგარ ახალ წელს გილოცავთ ხუთოსანო და ფრიადოსანო 55-ე ბაგა-ბაღელებო!

ბორის კინდღელი

„დრო, დრო აღნიშნე!“ (გალაკტიონი)

„მერი“ 100 წლისაა

18 ნოემბერს დედაუნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა **გალაკტიონის** საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა მისი ლექსის, „მერის“ პუბლიკაციის 100 წლისთავს. ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მწერლები, პოეტები და ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა.** მისი თქმით, აღნიშნული ღონისძიება არაერთ მნიშვნელოვან თარიღს დაემთხვა: „**მერის**“ გამოქვეყნებიდან 100 წლისთავს და **გალაკტიონის** დაბადებიდან 124 წელს, **ვაჟა-ფშაველას** გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილეს და **ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების** 75 წელს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დღეს დაემთხვა ასეთი მნიშვნელოვანი თარიღები, – აღნიშნა პაპავამ.

ღონისძიებაზე მოგონებებით გამოვიდნენ: გალაკტიონის შვილობილი **ნუნუ ებანოიძე,** მერი შერვაშიძის ნათესავი **თათული ღვილიაშვილი** და სხვები.

საღამოზე, სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს: **ეკა მამალაძემ, ზვიად ბოლქვაძემ, ვალერიან შიუკაშვილმა, დავით არჩვაძემ, ოთარ ჯორჯიკიამ, ანა ჭანიამ** და სხვებმა.

საგულისხმოა, რომ საღამოს ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ თსუ-ს დასავლეთევროპული ფილოლოგიის ინსტიტუტის თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი პროფესორი **ინესა მერაბიშვილი**.

ქალბატონი ინესა გახლავთ ის გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თანაბრად აფასებენ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. იგი არის დიდი ბრიტანეთის პოსტ-კონფლიქტურ კულტურათა კვლევის საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთა საბჭოს წევრი. ბრიტანეთის აკადემიური წრეების წარდგინებით, საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა აშშ–ში 2005 წელს, **ინესა მერაბიშვილს** მიანიჭა საერთაშორისო ელჩის ორდენი და წოდება: „Her Excellency“ – მისი აღმატებულება.

ღვაწლმოსილი ქალბატონის მიერ გალაკტიონის შემოქმედების კვლევა აისახა მის ორ მონოგრაფიაში –„**გალაკტიონის ენიგმები**“ (2003 წ.) და „**გალაკტიონის ერი, პროტოტიპის ძიება**“ (2012 წ.)

აღსანიშნავია, რომ პროფესორი **ინესა მერაბიშვილი** გახლავთ გალაკტიონის პოეზიის მთარგმნელი ინგლისურ ენაზე, რომლის თარგმანები დიდმა ბრიტანეთმა კრებულის სახით გამოსცა. სწორედ, ამავე კრებულის პრეზენტაციით, ლონდონში 2011 წლის 23 ნოემბერს, აკადემიური, დიპლომატიური და არისტოკრატიული წრეების ინიციატივით, ქართველი პოეტის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებაზე – **ინესა მერაბიშვილმა** წარმოადგინა ლექსი „**მერის**“ შექმნის ამბავი, როგორც მისი მრავალწლიანი კვლევის შედეგი. როგორც კვლევა მოწმობს, **მერი** გახლავთ დიდი ლიტერატურული სახე, რომლითაც გალაკტიონი შეეხმიანა მის ასახვას ევროპულ პოეზიაში და ის, კიდევ უფრო მაღალ შემოქმედებით მწვერვალზე აიყვანა. გალაკტიონის მერი არის არამარტო სათაყვანებელი იდეალური ქალი, არამედ ის ამავე დროს ღვთისმშობლის ხატებაა. გალაკტიონთან მერი - ღვთისმშობელია, გალაკტიონთან ვარდიც ღვთისმშობელია, გვირილა — ყრმა ქრისტეა (**„აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით“** და სხვა). აი, თურმე რატომ შრიალებს ვერხვი გალაკტიონის ლექსში: **„და შრიალებდა ტოტი ვერხვისა, რაზე – ვინ იცის! ვინ იცის მერი!“**, **„ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალებდა უშორეს ზღაპრად.“** მიუხედავად ამისა, კვლავ ცოცხლობს ლეგენდა უმშვენიერეს მერი შერვაშიძეზე, ხოლო ამ პრიზმაში დანახული „**მერის**“ შექმნის ამბავი კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესოა.

საღამოზე, კვლევის შედეგების მოსმენა კიდევ უფრო ცოცხალი გახადა ეკრანზე წარმოდგენილმა საილუსტრაციო მასალამ, ფოტო და აუდიო ჩვენებამ.

მზია გოგოძე

ლევან ქათამაძე

სამი ლექსის წარდგენა

მოარული აზრია: თითქოს პედაგოგისგან დიდი პოეტი არ დადგებაო. ვაჟა-ფშაველა მასწავლებლობდა, მაგრამ აბა, რომელ არაპედაგოგ პოეტზე ნაკლები იყო?

ცხოვრობს გურიის ულამაზეს სოფელ ჩხაკოურაში (ჩოხატაურის რაიონი) ფიზიკა-მათემატიკის ჩინებული მასწავლებელი ლევან ქათამაძე, ორი შვილის მამა და ორი შვილიშვილის ახალგაზრდა ბაბუა. იგი აკაკივით მსუბუქფრთიან და ტკბილმოსასმენ ლექსებს წერს. განა ნოდარ დუმბაძის თანამემამულეს პოეტობა გაუჭირდებოდა?

მოდით, გემო გავუსინჯოთ ახალგაცნობილი პედაგოგის პოეტურ სტრიქონებს.

* * *

სიბერე

ქვიშას აჩნდა სიჭაბუკის
დროინდელი ნატერფალი,
ისიც ტალღამ წარიტაცა
და გასცურა „ბატერფლაით“.
შემოდგომის ფერმიხდილ მზეს
კარვად ედგა ღრუბლის ოდა.
დაღლილი და მოწყენილი
დღე კი ჩორთით მიდიოდა.

ვინც გინების ღირსია!

ტევრი გავჭერ, ახო დავხან,
ვაზი დავამაგინე.
საქართველოს გამყიდველებს
ვაგინე და ვაგინე.
კომბლით თავებს დავუხეთქავ
და ზვინებად ავქუჩავ,
ჩემს პატარა საქართველოს
ვინც აიგდებს აბუჩად.

კარუსელი

ვინც სამშობლო გარდუვალი
დაღუპვისგან იხსნა,
არჩევნებში მიიღებდა
ყველაზე მეტს ის ხმას.
ტყუილების ტიკიდან
ადესაც რომ გვისხას,
ვინც მამული გაგვიყიდა
ვერ მიიღებს ის ხმას!
ვინც დალესის დოქტრინა
მანტიად მოისხა,
ცხადია, ვერ მიიღებს
ერისაგან ის ხმას!
ვისაც ცოდვა აწევს
თანამოძმეთ სისხლის
ძელზე გასმა ეკუთვნის,
ღირსი არის ის ხმის?!
ვინც ანთხევდა ბოღმას,
დუჟს, სამსალას, რისხვას,
ვერასოდეს მიიღებს
ქართველთაგან ის ხმას!
არ ვაპირებ არავის
მე ხოტბისა შესხმას,
ერის მოამაგეს კი
მღერით მივცემ ჩემს ხმას.
როგორც კრიალოსნის,
ალმასების ასხმის,
განა მხოლოდ ერთის,
მიმცემი ვარ ას ხმის.
თავზე ყურნი მებას
და თვალები მესხას,
არაფრის დიდებით
ხმა არ მივცე მე სხვას.

«სასიამოვნო» მიკროფოლები

ესეც შენი მათხოვარი!

მეტროთი ყოველ მგზავრობაზე ვაგონში ჩემწინ 3-4 მათხოვარი მაინც გაივლის. ათი წელია ვხვდები ერთ გრუზათმიან, თავხედ ბიჭს. ნახევარი თბილისი იცნობს მას. ვაგონში არ დაბადებულა, თორემ აქ გაიზარდაო, – ამბობენ მგზავრები.

მუხლებზე დავარდება, თავს შეგაცოდებს... და მის ყულაბაში „თეთრების“ ჩხრიალია. არა მგონია, სკოლაში დადიოდეს. ერთი რამ მიკვირს: მშვენივრად არის ჩაცმული, ჩემს შვილიშვილებზე უკეთესად.

„დიდუბის“ გაჩერებაზე ერთად ჩავედით. ქურთუკის ჯიბიდან მყის დააძრო ძვირადღირებული „ბიზნესმენური“ მობილური: დედა, დღეს კარგად ვიმუშავე.

ესეც შენი მათხოვარი!

კომპიუტერი — ფეტიში და პანაცეა?

იდიოტი უნდა იყო, დღეს კომპიუტერის უდიდესი სიკეთე და სასწავლო დანიშნულება არ გესმოდეს. ამ თემაზე ერთ სკოლის დირექტორთან კამათი მომივიდა.

– თქვენ და თქვენი პედაგოგები მასწავლებლის გაზეთს რომ არ იწერთ, არ გჭირდებათ?

– საკუთარი „ვებ-გვერდი“ გვაქვს, სადაც ყველა საჭირო მასალა თავს იყრის.

– „ვებ-გვერდს“ თავისი დანიშნულება აქვს, ადგილობრივი მოხმარებისაა, ჩაკეტილი წრეა. არ გინდათ, გარეთ, საგანმანათლებლო სივრცეში გაიხედოთ?

– შევყოფ თავს ინტერნეტში და ყველა ინფორმაციას მოვიპოვებ.

– კომპიუტერი მაინც სწავლების ტექნიკური საშუალებაა და არა პანაცეა. გაზეთით კი, პედაგოგი უფრო მეტ ცოცხალ სასწავლო პროცესს, მეთოდიკას, სხვის გამოცდილებას ეზიარება.

– არა, კომპიუტერია ყოვლისშემძლე, ყველაფრის თავი და თავი...

– თუ თქვენს ლოგიკას ჩავუღრმავდებით, მაშინ მასწავლებელიც არ იქნება საჭირო. მოსწავლე შინ მიიღებს აღზრდა-განათლებას. არც დირექტორი იქნება საჭირო...

დაფიქრდა. დუმილი. დუმილი კი, თანხმობის ნიშანია.

ტყუილში გამოჭერილი

სასკოლო ცხოვრებაზე გაზეთისთვის მასალა მჭირდებოდა და ვურეკავ სკოლის დირექტორს. საქმეთა მმართველმა გამომძიებელივით გამოიძია: „ვინა ვარ, სიდან მოვსულვარ, რა მინდა, წავალ სადაო“, და შემდეგ მითხრა:

– დირექტორი **სამინისტროშია** წასულიო.

კიდევ ცხრა სკოლაში დავრეკე. ყველგან ერთიდაიგივე, „**გამომძიებლის**“ შეკითხვა-პასუხები: „დირექტორი **შენობიდანაა გასული“, „სამინისტროშია** წასული“, რესურსცენტრში იმყოფება“, „**შეხვედრაზეა**“...

„გონივრული ეჭვი“ გამიჩნდა. გამახსენდა: ერთ სკოლაში ჩემი მეგობარი მუშაობს. – დირექტორი სკოლაშია? – ვეკითხები მას, – დიახ, თავის კაბინეტშია.

იმწამსვე სკოლაში დავრეკე. ჩემზე დოსიეს შეგროვებას მორჩა საქმეთა მმართველი და მპასუხობს: დირექტორი „**რესურსცენტრშია**“ წასული. არ ვიცი, როდის დაბრუნდება. არადა, ვიცი, დირექტორი იქვე ზის.

– მობილურის ნომერს ვერ მომცემთ? – აკრძალული გვაქვს.

ამის შემდეგ მოდი და ნუ გაგახსენდება: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. ასე ვინ, ან რამ შეგაშინათ, დირექტორებო?

საყვედურნარევი საუბარი

დიდ სასკოლო ღონისძიებაზე საინტერესო სტატია გამოვაქვეყნე. რადგან გაზეთი არავის ჰქონდა გამოწერილი და არც ჯიხურებში იყიდებოდა, პედაგოგებმა მთხოვეს: მოგვიტანე, შევიძენთო. ზოგმა იყიდა, ზოგმა – არა.

– თავისი პროფესიული გაზეთი პედაგოგს არ უნდა აინტერესებდეს? – გამოვთქვი საყვედური.

– არ შევიძენ. იმ წერილში ნახსენები არა ვარ, – პროტესტი გამოხატა ერთმა მდიდრულად ჩაცმულმა ქალბატონმა.

– მესმის ხელმოკლე პედაგოგის ყოფა, მაგრამ არა მგონია იმასაც წელიწადში ერთ-ორჯერ თავისი პროფესიული გაზეთისთვის 80 თეთრი დაეანანოს, – ისევ გამოვთქვი ზოგადი საყვედური.

პროტესტანტ პედაგოგს სიღარიბის არაფერი ეტყობოდა. მისი გახსნილი ჩანთიდან ძვირადღირებულ ჟურნალს ამოეყო თავი, რომლის ყდაზე შიშველი ქალის ფოტო მოჩანდა.

მოსე მწერალი

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 15 (4519)
25 ნოემბერი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009